

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	გეოგრაფიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სემესტრში სტუდენტი გაივლის 30 ECTS, წელიწადში 60 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება 14 ძირითადი კურსისაგან, პროფესიული პრაქტიკისა (10კრ) და სამაგისტრო ნაშრომისაგან (30 კრ). პროფესიულ პრაქტიკა - 10 ECTS კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია აჭარის ბუნებრივი ლანდშაფტების თავისებურებების, როგორცაა: ნიადაგსაფარის მრავალფეროვნება, გრავიტაციული პროცესების (მეწყერები) აქტიურობა და ზღვის სანაპირო ზონაში არსებული რთული მორფოდინამიკური პროცესების და შედეგების შესწავლა. აგრეთვე მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც თანამედროვე სამეცნიერო – ტექნიკური ბაზის პირობებში შეეძლება ჩაატაროს კვლევა ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ გეოგრაფიის მაგისტრი ითვისებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად კურსებს, დებულობს ღრმა ცოდნას, რის საფუძველზე: – სიღრმისეულად ფლობს ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის მეთოდებსა და ხერხებს; – მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საფუძველზე შეუძლია აწარმოოს მონიტორინგი გარემოში მიმდინარე პროცესებზე და მოვლენებზე; – ბუნებაში მიმდინარე პროცესებზე და მოვლენებზე მონიტორინგის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მეშვეობით შეუძლია შექმნას საფუძვლიანი და დეტალური ანგარიში. – მიღებული ცოდნის და კვალიფიკაციის საფუძველზე შეუძლია აწარმოოს პედაგოგიური და სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობა.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	საშა ხორავა განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი საკონტაქტო მონაცემები: 591 40 40 26; sxorava@gmail.com